



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ბებრისკონა

ბებრისკონა (*Lamium purpureum*), ერთ ან ორწლოვანი ბალახოვანი მცენარე ტუჩოსანთა ოჯახისა. აქვს 10–30 სმ სიმაღლის მწოლარე ან წამოწეული ღერო, კვერცხისებრ-გულისებრი ან მომრგვალო, გრძელყუნწიანი ფოთლები, მენამული, ვარდისფერი ან იშვიათად მოთეთრო ყვავილები.

იზრდება თითქმის მთელ საქართველოში მთის ქვედა და შუა სარტყელში ბუჩქნარებს შორის, რუდერალურ ადგილებზე, ტყეებში და როგორც სარეველა – ბაღებში.

გავრცელებულია აგრეთვე შუა ევროპაში, ხმელთაშუაზღვისპირეთში. მცირე აზიაში, ირანში, გზადგაყოლილია ჩრდ. ამერიკაში.

**დ. ხინთიბიძე**

---